

ქ. თბილისი

10 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ საქართველოს ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ქართლი“ წარმოდგენილი დირექტორის გოგენ რუბაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის 07 ოქტომბრის N2871 განგარგულების, სამშენებლო-საპროექტო სამსახურის 2016 წლის 04 ოქტომბრის N1181407 სამსახურებრივი ბარათის და ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის სამსახურის ბაზრის კვლევის სპეციალისტის 2016 წლის 06 ოქტომბრის N1197914 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

#### მუხლი I. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია ქ. თბილისის N48 და N71 საჯარო სკოლების გადაუდებელი, დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. შესყიდვის ობიექტის მოცულობისა და ღირებულების დეტალური აღწერა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

#### მუხლი II. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრა ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა: 266 179.06 (ორასამოცდაექვსი ათას ასამოცდაცხრამეტი ლარი და ექვსი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. მათ შორის: ქ. თბილისის N48 საჯარო სკოლა - 127 311.55 ლარი; ქ. თბილისის N71 საჯარო სკოლა - 138 867.51 ლარი;

#### მუხლი III. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

#### მუხლი IV. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად განისაზღვრულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე, 2016 წლის 08 ნოემბრის ჩათვლით;

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია შესაბამისი საჯარო სკოლა;

#### მუხლი V. თანმდევი მომსახურება

5.1. მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, ასევე სარეაბილიტაციო ნარჩენებისაგან.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია სახურავის გადახურვის სამუშაოების წარმოებისას უზრუნველყოს ნალექის შედეგად შესაძლო დაზიანებების პრევენცია. ხოლო

გაუფრთხილებლობის შედეგად ზიანის დადგომის შემთხვევაში იგი ვალდებულია, სრულად აანაზღაუროს შესაბამისი ზარალი.

#### მუხლი VI. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სამუშაოს შესრულების აქტის (ფორმა N2, ფორმა N3) წარმოდგენისა და გაფორმების შემდეგ.

6.2 საბოლოო სამუშაოს შესრულებამდე მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს ეტაპობრივად წარუდგინოს სამუშაოს შესრულების აქტი (ფორმა N2, ფორმა N3), რომლის საფუძველზეც განხორციელდება ანაზღაურება.

6.3 შემსყიდველის მხრიდან სამუშაოს შესრულების აქტზე (ფორმა N2, ფორმა N3) ხელმოწერის უფლება მიეცეს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს: სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსს მერაბ ჭონიაშვილს, სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსის მოადგილეს დავით სუთიძეს, სამშენებლო-საპროექტო სამსახურის მენეჯერს ვახუშტი ბურდულს და სააგენტოს დირექტორის მიერ განსაზღვრულ ტექნიკურ ზედამხედველს.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანეს ხუთ კალენდარულ დღეში აღმოფხვრას ხარვეზები, რა პერიოდშიც იგი ყოველ ვადაგადაცხადებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დადგენილი პირობის შესაბამისად;

6.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.

6.7 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარუდგინოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ინსპექტირებს ჯგუფს სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკი. იმ შემთხვევაში მიმწოდებელი არ წარმოადგენს გეგმა-გრაფიკს განსაზღვრულ ვადაში დაუსაბუთებლად, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, რა შემთხვევაშიც მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

6.8 იმ შემთხვევაში თუ ხარჯთაღრიცხვაში საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული იქნება სასაქონლო ნიშანი, მოდელი, პატენტი ან მწარმოებელი კომპანია, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ტერმინები გამოყენებული არის „მსგავსისა“ და „ექვივალენტურის“ მნიშვნელობით და მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვით/ფასების ცხრილით განსაზღვრული ხარისხის მსგავსი ან ექვივალენტური მახასიათებლების მქონე საქონელი/მომსახურება.

#### მუხლი VII. ანგარიშსწორება

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესრულებული სამუშაოების ანგარიშსწორებას განხორციელოს ერთჯერადად ან ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, მხარეთა შორის ფორმა N2-ზე შედგენილი შედარების აქტისა და ფორმა N3 გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა N2 და N3) გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7.3 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი საავანსო ანგარიშსწორება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით. ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან შემდეგი პროპორციით: 50%-ი მიმართული იქნება ავანსის სახით გადახდილი თანხის გასაქვითად, ხოლო დარჩენილი 50%-ი დაექვემდებარება ანაზღაურებას. საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტია. გარანტიის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას. საავანსო გადახდის გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში-ლარში. უცხოური ბანკებიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მათთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოში აკრედიტირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული „კონტრ გარანტია“ (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.4. სახელშეკრულებო თანხის 5%-ის ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდგომ. დასკვნის წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემსყიდველს. საექსპერტო მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს შემსყიდველი, მაგრამ არაუმეტეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის N171 დადგენილების დანართი N1-ის 137-ე პუნქტით დადგენილი ტარიფის ზღვრული ოდენობისა. საექსპერტო კვლევის საგანია შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა, ფასი და ხარისხი. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ამ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში;

7.5. შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.6. ანაზღაურების ადგილი ქ.თბილისი.

#### მუხლი VIII ფასები

8.1 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ან ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამასთან გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტით გაზრდა.

8.2. შესაძლებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შემცირება, სათანადო საექსპერტო დასკვნის საფუძველზე;

#### მუხლი IX. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

9.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

9.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

9.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

9.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

9.3.2. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტს;

9.3.3. უარი თქვას შესრულებული სამუშაოს მიღებაზე, თუ იგი არ შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს;

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

9.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

9.4.2. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს.

9.4.3. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში მათ მიღებამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

9.4.4. მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები სამუშაო ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

9.4.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო ობიექტზე.

9.4.6. სამუშაოების დასრულების შემდეგ, შესრულებული სამუშაოს ნორმალური ექსპლოატაციის პირობებში მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომლის პირობებშიც მოცემულია ხელშეკრულების შესაბამის დანართში. საგარანტიო პერიოდში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტები) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდა რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია შემსრულებლის მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით; საგარანტიო პირობებები ვრცელდება მხოლოდ იმ სამუშაოებზე, რომელიც შესრულებულია მიმწოდებლის მიერ, ხერლშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიხვის შესაბამისად.

9.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

#### **მუხლი X. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარო სასაჩივრო საჩივრები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

10.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;

10.4 მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.5 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

10.6 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.7 შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს მიწოდების საბოლოო ვადის 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.8 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით;

10.9. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებლის მიზეზით შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.10. თუ კი შემსყიდველი ხელშეკრულების 7.1 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები დაცვის შემთხვევაში, ამავე მუხლით მითითებულ ვადაში, ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას, მიმწოდებელი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გემა-გრაფიკის გადახედვის თაობაზე.

10.11 ამ მუხლის 10.7 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ღირებულება;

#### **მუხლი XI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

#### **მუხლი XII. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა**

12.1 სამუშაოების შესრულების ვადის ცვლილების უფლება მიმწოდებელს შეიძლება მიეცეს შემსყიდველის თანხმობით, „ფორს-მაჟორული“ სიტუაციების ან სხვა ობიექტური მიზეზების შემთხვევაში;

#### **მუხლი XIII დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი XIV გაუთვალისწინებელი გარემოებები („ფორს-მაჟორი“)**

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების

შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

#### **მუხლი XV. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები**

15.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

15.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.6 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტში აღნიშნული პირები.

#### **XVI. ხელშეკრულების შესრულების გარანტია**

16.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში წარუდგენს შემსყიდველს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ უპირობო გამოუთხოვად საბანკო გარანტიას.

16.2. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

16.3. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

16.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და/ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია 14 დღის განმავლობაში.

16.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

16.6. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

16.7. გარანტია უნდა იყოს უპირობო, ე.ი. გარანტიით გათვალისწინებული თანხები შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი დამატებითი განმარტებისა და მტკიცებულების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე.

16.8. გარანტიით გათვალისწინებული თანხის ამოწურვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

**მუხლი XVI. სხვა პირობები**

17.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.


17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

**მუხლი XVIII. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**


**შემსყიდველი:**

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“, მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1, შენობა-ნაგებობა N1, მე-2 სართული, ს/კ 202294980; სახელმწიფო ხაზინა, ა/ა 200122900, კოდი: 220101222  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი შალუტაშვილი

  
(ხელმოწერა)

**მიმწოდებელი:**

შ.პ.ს. „ქართლი“, მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილის 3, 3ამ/რ, 333კ, ბ.23, ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N57; ს/6206139542, ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა GE83BG0000000886085101; ტ: 599 56 98 75;  
დირექტორი გოვენ რუბაშვილი

  
(ხელმოწერა)

დანართი


ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების თაობაზე,


1. სახურავი - 15 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. კარ-ფანჯრები - 10 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
3. გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები - 15 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. შენობის შიდა მოპირკეთება - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
5. ფასადის და სარინელის სამუშაოები - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
6. სამღებრო სამუშაოები - 3 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7. სანტექნიკა და ელექტრობა - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
8. გათბობის სისტემა - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
9. საქვაბე მეურნეობის აგრეგატები - 5 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
10. იატაკი - 15 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
11. კონსტრუქციები - 70 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
12. წყალსადენისა და კანალიზაციის გარე ქსელი - 20 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
13. ღობე - 25 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
14. დროებით შენობა-ნაგებობები - 25 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
15. სხვა დანარჩენი - 1 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
16. ამწე მოწყობილობა - 2 წელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

საგარანტიო ვადის განმავლობაში შ.პ.ს „ქართლი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა.

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ქართლი“, მისამართი: ქ. თბილისი, ვარკეთილის 3, 3ამ/რ, 333კ, ბ.23, ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. N57; ს/5206139542, ს.ს. „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/აGE83BG000000886085101; ტ: 599 56 98 75;  
დირექტორი გოვენ რუბაშვილი

  
(ხელმოწერა)







სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო  
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო



04/10/2016

MES 0 16 01183407

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის  
განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელს ბატონ გიორგი შალუტაშვილს სამსახურეობრივი ბარათი

ბატონო გიორგი,  
როგორც მოგეხსენებათ, სააგენტომ შეწყვიტა ხელშეკრულება N 32060201/03/133 შ.პ.ს. „ენ.  
ენდ.ელ გრუპ“-ან , რომელიც ანხორციელებდა ქ.თბილისის N 48; N71 და N160 საჯარო  
სკოლების რეაბილიტაციას და ვერ უზრუნველყო ობიექტებზე მუშაოების შესაბამისი ტემპი  
და ხორისხი, რომელიც განაპირობებდა ობიექტების დროულ და ხარისხიან დასრულებას.  
შესასრულებელი სამუშაოების ნუსხაში დარჩენილია გათბობის, სახურავის და სანკვანძების  
რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლის აქტუალობა მნიშვნელოვნად იზრდება ზამთრის  
მოახლოებასთან. დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალი და ღირებულება  
არის:

თბილისის N48 საჯარო სკოლა - 131447.19 ლარი (სან.კვანძები, კანალიზაცია, გათფობა).

თბილისის N71 საჯარო სკოლა - 140520.25 ლარი (სახურავი, სან.კვანძები, გათფობა )

თბილისის N160 საჯარო სკოლა - 92884.21 ლარი (სან.კვანძები, შიდა და გარე კანალიზაცია )

სარეაბილიტაციო სამუშაოების საერთო ჯამური ღირებულებაა -364851.65 ლარი

სამუშაოების დასრულება თბილისის N48 საჯარო სკოლაში განსაზღვრულია 30  
კალენდარული დღით

სამუშაოების დასრულება თბილისის N71 საჯარო სკოლაში განსაზღვრულია 30  
კალენდარული დღით

სამუშაოების დასრულება თბილისის N160 საჯარო სკოლაში განსაზღვრულია 30  
კალენდარული დღით

აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სარეაბილიტაციო სამუშაოების  
შესყიდვა მოხდეს პირდაპირი შერჩევის წესით, რათა სარეაბილიტაციო სამუშაოების  
დასრულება მოხერხდეს ზამთრის დადგომამდე.

სამსახურეობრივი ბარათი N1181920 ჩაითვალოს ძალადაკარგულად.

გთხოვთ, თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: დეფექტური აქტები.



პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო  
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2  
ცხელი ხაზი, ტელ/ Tel.:(+995)220 0 220 2023;

www.esida.ge E-mail: info@esida.ge

ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო /  
სამშენებლო-საპროექტო სამსახური  
მოადგილე  
დავით სუთიძე





სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080131987950316

# 2871

07 / ოქტომბერი /  
2016 წ.

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების  
სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით  
განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 4 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP160002640 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვების განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ქალაქ თბილისის № 160, № 71 და № 48 საჯარო სკოლების დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას (CPV 45400000 - შენობის დასრულების სამუშაოები).

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, SPA160019280 ელექტრონული ტენდერის შედეგად, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ და შპს „ენ ენდ ერ გრუპს“ შორის, 2016 წლის 16 აგვისტოს გაფორმდა № 32060201/03/133 ხელშეკრულება ქალაქ თბილისის № 160, № 71 და № 48 საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე და სამუშაოების დასრულების ვადად განსაზღვრა 2016 წლის 09 ოქტომბერი. 2016 წლის 20 სექტემბერს სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ № 32060201/03/133 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქ თბილისის № 48 საჯარო სკოლაში არ მიმდინარეობდა. შესაბამისად, 2016 წლის 20 სექტემბრის № 1111231 წერილით კომპანიას დაუყოვნებლივ გაეგზავნა გაფრთხილება და ეთხოვა ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, შეფერხების აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებების გატარება. 2016 წლის 20 სექტემბერს ქალაქ თბილისის № 48 საჯარო სკოლის დირექტორს, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ უფროს მენეჯერსა და შპს „ენ ენდ ერ გრუპს“ წარმომადგენელს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის თანახმად, კომპანია კისრულობდა ვალდებულებას 2016 წლის 26 სექტემბრამდე დასრულებინა სკოლის შენობის პირველ და მე-2 სართულზე განთავსებული სანიტარული კვანძების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რა შემთხვევაშიც, სკოლას ექნებოდა შესაძლებლობა ესარგებლა პირველ და მე-2 სართულზე არსებული სველი წერტილებით. მიმდინარე წლის 22 სექტემბერს მიმწოდებელს კვლავ გაეგზავნა № 1124686 შეტყობინება, რომლის თანახმად, გასული ორი დღის შედეგების მიხედვით, მიმდინარე სამუშაოები არ იყო გააქტიურებული, რის გამოც ეჭვქვეშ დგებოდა არსებული შეთანხმების შესრულება. ამასთან, კომპანიას კვლავ ეთხოვა რადიკალური ღონისძიებების გატარება № 32060201/03/133 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ სამშენებლო-საპროექტო სამსახურის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ 2016 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით შესრულებული იყო სამუშაოების მხოლოდ 15-18 % მაშინ როდესაც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან გავიდა 45 კალენდარული დღე და კომპანიას სამუშაოთა დასასრულებლად დარჩა მხოლოდ 10 დღე. ასევე დადგინდა, რომ მიმწოდებლის მიერ

სამუშაოთა არასწორი დაგეგმვის შედეგად, ზემოაღნიშნულ საჯარო სკოლებში ვერ დასრულდა სანიტარული კვანძების მოწყობა და არ იქნა დაწყებული გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთან, ქალაქ თბილისის № 71 საჯარო სკოლაში კომპანიის დაუდევრობით არ მომხდარა სახურავის რეაბილიტაცია, ხოლო მოსული წვიმის შედეგად ვითარება უფრო მძიმდება. მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება № 32060201/03/133 ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

როგორც მომართვიდან ირკვევა, ქალაქ თბილისის № 48 საჯარო სკოლაში არ არის დასრულებული და არ ფუნქციონირებს არცერთი სველი წერტილი, რაც ხელს უშლის სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურ გარემოში წარმართვას. ასევე, ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებს ცენტრალური გათბობის სისტემაც. ქალაქ თბილისის № 71 საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზი, მუსიკალური კოლეჯი და სკოლის ადმინისტრაცია დარჩენილია უსახურავოდ. შენობა დაიტბორა 23 სექტემბერს მოსული ძლიერი წვიმის შედეგად, რა დროსაც დაზიანდა ახლად გარემონტებული სააქტო დარბაზის ჭერი და იატაკი, მძიმე მდგომარეობაა ახლადგარემონტებულ ადმინისტრაციულ ნაწილშიც, განსაკუთრებით ფოიეში, სადაც აყრილია იატაკი, დასკდარია კედლები და ჭერიდან ჩამოყრილია ბათქაში. ჭერში ბეტონის ფილებს შორის დაგროვილია წვიმის წყალი, რომელიც განუწყვეტლად ჟინავს და აზიანებს იატაკს. კედლები იშლება და შენობაში დგას სპეციფიური სუნი. საქვაბიდან დამხმარე კორპუსამდე დასამონტაჟებელია გათბობის შემაერთებელი მილები. სამონტაჟო სამუშაოების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამხმარე კორპუსი დარჩება გათბობის გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში არ ფუნქციონირებს არცერთი სველი წერტილი, რაც დამატებით სირთულეს ქმნის პირველკლასელებისთვის და მათი მშობლებისთვის. ქალაქ თბილისის № 160 საჯარო სკოლაში არ არის დასრულებული არცერთი სამუშაო, სველ წერტილებთან არ არის მიერთებული კანალიზაციის მილები, რის გამოც სკოლა დარჩა სველი წერტილების გარეშე. აღნიშნული საფრთხეს უქმნის სკოლის ფუნქციონირებას და გაუსაძლის პირობებს ქმნის სკოლაში განთავსებული კონტიგენტისთვის.

#### სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე. შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, რამდენადაც, როგორც მომართვაშია აღწერილი, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა“ და შპს „ენ ენდ ერ გრუპს“ შორის, 2016 წლის 16 აგვისტოს გაფორმებული № 32060201/03/133 ხელშეკრულება - ქალაქ თბილისის № 160, № 71 და № 48 საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შეწყვეტილ იქნა.

როგორც მომართვიდან ირკვევა, ქალაქ თბილისის № 48 საჯარო სკოლაში არ არის დასრულებული და არ ფუნქციონირებს არცერთი სველი წერტილი, რაც ხელს უშლის სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურ გარემოში წარმართვას. ასევე, ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებს ცენტრალური გათბობის სისტემაც. ქალაქ თბილისის № 71 საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზი, მუსიკალური კოლეჯი და სკოლის ადმინისტრაცია დარჩენილია უსახურავოდ. შენობა დაიტბორა 23 სექტემბერს მოსული ძლიერი წვიმის შედეგად, რა დროსაც დაზიანდა ახლად გარემონტებული სააქტო დარბაზის ჭერი და იატაკი, მძიმე მდგომარეობაა ახლადგარემონტებულ ადმინისტრაციულ ნაწილშიც, განსაკუთრებით ფოიეში, სადაც აყრილია იატაკი, დასკდარია კედლები და ჭერიდან ჩამოყრილია ბათქაში. ზემოაღნიშნულ სკოლებში დღეის მდგომარეობით არსებულმა ვითარებამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სკოლების გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებას, რაც, დიდი ალბათობით, სასწავლო პროცესის პარალიზების საფუძველი გახდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოცემული შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განხორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრევი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.


დამატებით აღნიშნავთ, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

#### სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ SMP160002640 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე



სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო  
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო



MES 8 16 01197914

06/10/2016

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის  
განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს  
ბატონ გიორგი შალუტაშვილს

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ N1181920 სამსახურებრივ ბარათთან დაკავშირებით ჩატარდა ფასთა  
კვლევა ქ თბილისის N48; N71; N160 საჯარო სკოლების სამშენებლო სამუშაოებთან  
დაკავშირებით.

ფასთა კვლევა დაიწყო მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს.

მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს მივიღეთ წერილი სააგენტოს სამშენებლო-საპროექტო  
სამსახურიდან დაზუსტებული დეფექტური აქტებით N1183407.

სააგენტოსგან კომპანიებთან გაიგზავნა დამატებითი წერილი დაზუსტებული დეფექტური  
აქტებით.

კვლევა დასრულდა 4 ოქტომბრის 17:00სთ-ზე

კომპანიებმა სატელეფონო კონტაქტის და ელექტრონული შეტყობინებების საფუძველზე  
განაცხადეს, რომ მითითებული დრო არ იყო საკმარისი ხარჯთაღრიცხვის მოსამზადებლად  
და მოითხოვეს კვლევის ვადის გახარგრძლივება.

ზემოაღნიშნული სამსახურებრივი ბარათის მეშვეობით ვაცნობე სააგენტოს დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელს ბატონ გიორგი შალუტაშვილს. (სამსახურებრივი ბარათი  
N1188115) მისი თანხმობის საფუძველზე კვლევის ვადა გაგრძელდა მიმდინარე წლის 5  
ოქტომბრის 17:00 სთ-მდე. (იხილეთ N1188115 სამსახურებრივი ბარათის რეზოლუცია)

ელექტრონული შეტყობინება გაეგზავნათ შემდეგ კომპანიებს:

შპს საბა კონსტრაქშენ

მტმ

შპს მშენებელი 2013

იერი

შ.პ.ს "პარმადი"

სს სამშენებლო საწარმო გაერთიანება იმერეთი

ბურჯი XXI

გრუსია

შპს „ტრანსმშენი“

ტერმინალი

„სამშენებლო ტრესტი #3“

შპს ექსპრესსერვისი 2008

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო  
თბილისი 0160, მერაბ ალექსიძის ქ. №1, შენობა-ნაგებობა №1, სართული 2  
ცხელი ხაზი, ტელ/ Tel.:(+995)220 0 220 2023;

www.esida.ge E-mail: info@esida.ge

დაგი  
მამკო  
ანაგი  
შპს ქართლი  
სვირი+  
შპს მარდი

ელექტრონული შემოთავაზება მივიღეთ შემდეგი კომპანიებისაგან:

- ქ. თბილისის N48 საჯარო სკოლის სამუშაოების ღირებულებაა 131 447.19 ლარი

სამუშაოების შესრულების ვადა - 30 კალენდარულიდღე

1. შპს „მარდი“-ს შემოთავაზება - 131 402.45 ლარი
2. შპს „სვირი+“-ს შემოთავაზება - 128 661.15 ლარი
3. შპს „ტრანსმშენის“-ს შემოთავაზება - 142 997.64 ლარი
4. შპს „ქართლი“-ს შემოთავაზება - 127 311.55 ლარი

- ქ. თბილისის N71 საჯარო სკოლის სამუშაოების ღირებულებაა 140 520.25 ლარი

სამუშაოების შესრულების ვადა - 30 კალენდარულიდღე

1. შპს „მარდი“-ს შემოთავაზება - 140 202.32 ლარი

შენიშვნა: კომპანიამ N71 სკოლის სამუშაოების შესრულების ვადებზე აღნიშნა, რომ საჭიროა 40 კალენდარული დღე.

2. შპს „სვირი+“-ს შემოთავაზება - 140 506.37 ლარი
3. შპს „ტრანსმშენის“-ს შემოთავაზება - 156 571.12 ლარი
4. შპს „ქართლი“-ს შემოთავაზება - 138 867.51 ლარი

- ქ. თბილისის N160 საჯარო სკოლის სამუშაოების ღირებულებაა 92 884,21 ლარი

სამუშაოების შესრულების ვადა - 30 კალენდარულიდღე

1. შპს „გრუსია“-ს შემოთავაზება - 90 530.53 ლარი
2. შპს „მარდი“-ს შემოთავაზება - 73 853.67 ლარი
3. შპს „სვირი+“-ს შემოთავაზება - 83 974.47 ლარი
4. შპს „ტრანსმშენის“-ს შემოთავაზება - 91 070.34 ლარი
5. შპს „ქართლი“-ს შემოთავაზება - 89 348.87 ლარი

შპს „ექსპრესსერვისი 2008“-ისაგან მივიღეთ ელექტრონული შეტყობინება, რომ ღირებულების გამო ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

კომპანიების შემოთავაზებები და შეტყობინებები იხილეთ დანართის სახით.

დანართი: 25(ოცდახუთი) ფაილი

პატივისცემით,

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო  
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო /  
ფინანსური რესურსების მართვისა და დაგეგმვის  
სამსახური  
ბაზრის კვლევის სპეციალისტი  
სოფიო ბაკურაძე



საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

ობიექტის დასახელება: **თბილისის №48 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია**

შენობის მოწყობის სამუშაოები

საფუძველი: დეფექტური აქტი

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება  
მათ შორის ხელფასი

127,311.55

№	საშუალო დასახელება	განზ.	სულ	მასალა		ხელფასი		სამშენებლო მექანიზმები		ჯამი	შენიშვნა	
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
<b>I. დემონტაჟის სამუშაოები</b>												
1	ლიობის გამოღება აგურის კედელში	კუბ.მ.	15.00	-	25.00	375.00	-	375.00			375.00	
